

უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტის კონკურსი

**ხშირად დასმული კითხვები**

საკითხები: გრანტის მიმღები  
ბიუჯეტი  
გეგმა-გრაფიკი

**გრანტის მიმღები**

1. საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი ასისტენტ-პროფესორი შეიძლება იყოს პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი?

**პასუხი:** დიახ, შესაძლებელია, თუ ის ფლობს დოქტორის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს და უკავია არჩევითი სამეცნიერო თანამდებობა.

2. შეიძლება თუ არა, პროექტში ახალგაზრდა მკვლევრის სტატუსით ჩაერთოს უცხო ქვეყნის მოქალაქე დოქტორანტურის სტუდენტი?

**პასუხი:** არა, არ შეიძლება. სამეცნიერო ხელმძღვანელის გარდა, ახალგაზრდა მკვლევრის სტატუსით პროექტში შეიძლება ჩაერთოს საქართველოს მოქალაქე პირი ძირითადი პერსონალიდან, რომელსაც აქვს მინიჭებული დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და მინიჭების დღიდან კონკურსის გამოცხადების დღემდე გასულია არაუმეტეს 7 წლისა, ასევე დოქტორანტი, მაგისტრი და მაგისტრანტი, ბაკალავრი.

3. შესაძლებელია თუ არა, რომ პირი იყოს ფუნდამენტური კვლევების საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული პროექტის ხელმძღვანელი და ამავე დროს უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევების საგრანტო კონკურსში ჩაერთოს პროექტის თანახელმძღვანელის სტატუსით?

**პასუხი:** არ შეიძლება. პროექტის ხელმძღვანელის ან თანახელმძღვანელის სტატუსით ერთსა და იმავე პირს, ერთსა და იმავე დროს, შეუძლია ჩართული იყოს მხოლოდ ერთ პროექტში. იგულისხმება, როგორც უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის 2018 წლის საგრანტო კონკურსში წარმოდგენილი, ასევე, ის მიმდინარე პროექტი, რომელიც დაფინანსდა ფონდის მიერ ადმინისტრირებული შემდეგი კონკურსების ფარგლებში:

- ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების,
- გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების და
- უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების კონკურსები.

4. „პროექტი უნდა ითვალისწინებდეს როგორც პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის წამყვან ან/და თანამონაწილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორგანიზაციაში ვიზიტს, ასევე ძირითადი პერსონალის წარმომადგენლის პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან სამეცნიერო-კვლევით ვიზიტს“ - აქ ერთი ვიზიტი იგულისხმება თუ რამდენიმე?

**პასუხი:** იგულისხმება, პროექტის განმავლობაში, მინიმუმ ერთი ვიზიტი სამეცნიერო ხელმძღვანელის წამყვან ან/და თანამონაწილე ორგანიზაციაში, ასევე ძირითადი პერსონალის წარმომადგენლის ვიზიტი პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან.

5. სად უნდა წარმოვადგინოთ სამეცნიერო ხელმძღვანელისა და კოორდინატორის ცნობები სამსახურიდან?

**პასუხი:** პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის ცნობა სამსახურიდან უნდა აიტვირთოს მის „მეცნიერის პროფილში“, მიმდინარე სამუშაო გამოცდილების ველში. პროექტის კოორდინატორის წამყვან ორგანიზაციასთან საქმიანი კავშირის დამადასტურებელი ცნობა - ცნობა სამსახურიდან ან ცნობა წამყვან ორგანიზაციაში სწავლის შესახებ უნდა აიტვირთოს კოორდინატორის „მეცნიერის პროფილში“, მიმდინარე სამუშაო გამოცდილების/განათლების ველში.

6. შესაძლებელია თუ არა, რომ ძირითადი პერსონალის რომელიმე წევრმა კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადებაზე ხელმოწერის უფლება მინდობილობით გადასცეს სხვა პირს და მან მოაწეროს ხელი განცხადებას?

**პასუხი:** დიახ, შესაძლებელია. ამ შემთხვევაში კანცელარიაში განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოთ შესაბამისი მინდობილობაც.

## ბიუჯეტი

1. რომელ მუხლში უნდა გავითვალისწინო უცხოეთში მოღვაწე თანამემამულის საქართველოში ჩამოსვლის ხარჯები?

**პასუხი:** მისი ხარჯების ანაზღაურება შესაძლებელია ბიუჯეტის კლასიფიკატორის „წარმომადგენლობითი ხარჯების“ მუხლიდან.

2. შესაძლებელია თუ არა ერთობლივი კვლევების განსახორციელებლად, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულესთან გრანტის მიმღები ძირითადი პერსონალის ჩასვლა საზღვარგარეთიდან?

**პასუხი:** დიახ, შესაძლებელია. ეს ხარჯი უნდა გაითვალისწინოთ ბიუჯეტის კლასიფიკატორის „მივლინების“ მუხლიდან.

3. შეიძლება თუ არა სამუშაო მიზნებისთვის ფართის დაქირავება ძირითადი პერსონალისთვის?

**პასუხი:** არ არის შესაძლებელი, გრანტის სახსრებით დაუშვებელია უძრავი ქონების იჯარა. ასევე, გრანტის მიმღები წამყვანი ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს პროექტის ძირითადი და დამხმარე პერსონალი პროექტით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

4. შეიძლება თუ არა უცხოეთში მოღვაწე თანამემამულე ჩაერთოს პროექტში ანაზღაურების გარეშე?

**პასუხი:** დიახ, შესაძლებელია მისი პროექტში ჩართვა როგორც ანაზღაურებით, ასევე ანაზღაურების გარეშე.

5. ბიუჯეტის რომელი კატეგორიიდან უნდა გაიწიოს ხარჯი, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულის მიერ, საზღვარგარეთის ერთი ქვეყნიდან მეორეში გადასვლისას, საგრანტო პროექტით გათვალისწინებულ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღების მიზნით?

**პასუხი:** ეს ხარჯი უნდა გაითვალისწინოთ ბიუჯეტის კლასიფიკატორის „მივლინების“ მუხლიდან.

6. იმ შემთხვევაში თუ დანადგარის ღირებულება მეტია 500 ლარზე და გამოიყენება მხოლოდ ორი თვით, რომელ კატეგორიაში უნდა გავითვალისწინო მისი შეძენის ხარჯი?

**პასუხი:** იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია დანადგარის გამოყენება ორი თვის შემდეგ მისი ცვეთის ან სხვა მიზეზების გამო და ეს ცნობილი იქნება დანადგარის შეძენისას, ასეთ შემთხვევაში, ხარჯი უნდა გაითვალისწინოთ ბიუჯეტის კლასიფიკატორის „საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან.

## გეგმა-გრაფიკი

7. სად ივსება პროექტის გეგმა-გრაფიკი?

**პასუხი:** პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი, ისევე როგორც ბიუჯეტი ივსება GMUS-ში.